

1 თებერვალი  
1931 წ.

# საქართველო

ფანი 10 კავ.  
№ 4

საყ  
ოვედთაო სავარდებულო სწავლა  
დახვარია ჩვენი მტრებისათვის

სამცა

მედიაციისთვის რეგულაციის და  
რეალური სახელმწიფო სურსათისთვის




J. Nadar

# მეგობრული შარხები

ნახ. მოკიანაშვილის



ანხ. ზ. დავითაშვილი (გან. სახ. კომისარი).



ანხ. ნ. გვიშვილი (გან. სახ. კ. მ. თანაშემწე).



ანხ. შარია (სამეცნ. სექტორის გამგე).

## ნიანგის ბრძანება № 2

საყოველთაო სავალდებულო სწავლების შესახებ

საგჭოტო, სამეურნაო, კომუნიკაციურ და პროფესიონალურ მომსახურებას, პირადად განსახორციელებს და სხეულს

ვინაიდან შეუძლებელია იმის დაჯერება, რომ თქვენ, ზემოხსენებულ ორგანიზაციებს არ გესმოდით საყოველთაო სავალდებულო სწავლების უაღრესი პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური მნიშვნელობა, ამიტომ საჭიროთ ესცნობ უკომენტარიოთ მოგმართოთ შემდეგი ღონისძიებათა მიღებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ასი პროცენტით საყოველთაო სავალდებულო სწავლების ცხოვრებაში გატარებას.

**პირველი:** იმ ორგანიზაციებმა, რომლებსაც უნდა გადაეცინათ საყოველთაო სწავლების საჭიროებისათვის საჭირო თანხები და დღემდის ამისათვის „ყურები არ დაგიბრტყიათ“ და არ „განძრეულხართ“, ინებეთ და დაუყოვნებლივ შეასრულოთ თქვენი ვალდებულებანი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვალდებული ხართ მომმართოთ, რათა აღმოგიჩინოთ შესაფერი დახმარება, როგორც „ყურების დაბრტყვაში“, ანუ ჩემბურათ, — ყურების აწევაში, ისე ცოტა განძრევაში, ჩემბურად დაბეგვაში, ანუ, გურული გამოთქმით, დაბრეგვაში.

**მეორე:** განსახკომმა, რომელსაც თავის დროზე უნდა დაგემუშავებიათ ორგანიზაციული საკითხები ამ საქმის ბრწყინვალეთ დასრულებისათვის, (როგორც სწავლო პროგრამების დაბადება, სკოლების მასწავლებლებით უზრუნველყოფა და სხვა),

რომ დაწყებული საქმე განაგრძოთ გაძლიერებული ტემპით, „ფეხზე“ უნდა დააყენოთ თქვენი აპარატი, რისთვისაც საჭიროა ამ უკანასკნელის გენერალური წმენდის დროულად დასრულება.

**მესამე:** სახელგამმა კი, რომელმაც სახელმძღვანელოების დამზადებაში ფეხი მოიტეხეთ, რომ მომავალში თავიც არ დაკარგოთ, დაუყოვნებლივ უნდა გაიკეთოთ ქირურგიული ოპერაცია მოტეხილი ფეხის გამოთელებისათვის. თუ ამ საქმის გაკეთებას ვერ

შესძლებთ, მომმართეთ და დახმარებას გაგიწევთ.

**მეოთხე:** ყველა ნიანგკორებს გველვებით ადგილებზე გაამახვილოთ მეთვალყურეობა და შემჩნეულ დეფექტების შესახებ დაუყოვნებლივ მოგვაწოდოთ ცნობები.

ეს ბრძანება ძალაში შედის იმ დროიდან, როცა საქართველოში დაიწყო საყოველთაო სავალდებულო სწავლებისათვის მუშაობა.

ნიანგი.

## ქალაქის კრიზისი

ნახ. ლონის



— სულ რამოდენივე ლექსი დაწერე და ამოდინა წიგნი როგორ გამოვიდა!

ჰა! საქმე რაში ყოფილა: თითო 880 რდზე თითო სტრიქონია!

# აქა აგზავნი ერთისა ცირკულიარისა

...ამიტომ, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების წარმატებით გატარების მიზნით, ადგილებს წინადადება ეძლევა სკოლები უზრუნველყონ სასწავლო ნივთებით, ბინებით და სახელოსნოებით. მასწავლებლები მომარაგების მხრივ უნდა გაუთანასწოროდნ სამრეწველო მუშებს და ისინი უზრუნველყოფილი იქნან როგორც ხელფასით, ისე სამრეწველო და სასურსათო საქონლით. ადგილებს ევალება ეს დადგენილება ურყევით განახორციელონ...

— შეგვკამეს ამ დირექტივებმა, — ჩიბუ-ზღუნა რაილიმასკომის მდივანმა და დირექტივა თავმჯდომარეს შეუნახა

— რა კაცის ხელში მოგხვდები, — ფიქრობდა მალენი ქვეშ ამოფარებული დირექტივა, — აქო და მდივანი ვარო, ხეირიანად ჩემს გაცნობასაც აღარ კადრულაობს! თავმჯდომარეს მივლინებები უყვარდა და ერთი თვე დაიგვიანა.

— აი, ეს დირექტივა, მოსული სწავლების კამპანიის ჩატარების შესახებ! — მოახსენა სხვათაშორის მდივანმა თავმჯდომარეს. თავმჯდომარემ და მდივანმა ერთად საუბრობო დირექტივა შეადგინა:

...ამიტომ ჩვენს ქვემდებარე ადგილებს ევალება შეაკეთონ სკოლები, აღზარდონ მასწავლებლთა კადრები, უზრუნველყონ სკოლები ინვენტარით, ხოლო მასწავლებლები — ხელფასით და ყოველგვარი საქონლით. — ასე თავებობდა რაიონის დირექტივა.

ბერი იარა თუ ცოტა იარა, დირექტივამ მიაღწია სოფლის საბჭომდე და ფრთხილად შეადო კარები.

საბჭოს მდივანმა ახედ-დახედა დირექტივას:

— მოგვლია შენ! — სთქვა მან და მალენს საფარის უქონლობის გამო დირექტივა მაგიაზე გადაფარებულ გაზეთის ქვეშ ამოსდო.

— აქ ჰაერი უკეთესია, — ფიქრობდა დირექტივა, — მაგრამ ვინ იქნის, როდის მელირდება კვლავ მზის სინათლის ხილვა!..

ერთ დღეს, რაღაც შემთხვევით, გამოკყო თავი გაზეთიდან დირექტივამ. მზის სინათლეზე შეიშშოშინა და მდივანისკენ გაიხიდა. მდივანი შეკრთა, თითქოს შერცხვა დირექტივის და ხილვაში აიღო იგი თავმჯდომარესთან შევიდა და ორივემ, შეერთებული ნივთითა და ტალანტებით, კონტა ცირკულიარი შეადგინეს.

...აღიბოვს ევალება — ეწერა ცირკულიარში — საბჭოთა უზრუნველყოფის სკოლები

ბი ბინით, გაბობით და განათებით, ხოლო მასწავლებლები — ფულით, ტანით, ფეხით და სხვა ყოველი სასურველი ნივთებით... მთავარი ყურადღება კადრების აღზრდას და მოვლას... ადგილობრივი ორგანოები, — რიხით განაგრძობდა ცირკულიარი, — ყოველ მიზეზს გარეშე არიან ვალდებული, მოლიანად გაატარონ ცნობრებაში ეს დადგენილება, თორემ პასუხობა ჩვენს მიერ შეფასებული იქნება თპორტუნისტულ მიდგომით.

ცირკულიარი აფრინდა, დაფრინდა და ლობზე შემოკვდა.

— ვის ვესტომრო ახლა, — ამზე ძირითადი ორგანი აღარ მეტულება, — ვინ არის ისეთი, რომ ამ დავალებების შესრულება ევალებოდეს...

გვორებ ადგილობრივ ქობსამკითხველს გამგე ყოი, სახლიდა მადიოდა, ვნახო ამ ერთი ივრის განმეღობაში სამკითხველო ხომ არავის გაუღია, ან ბოქლომი ხომ არ მოუპარავთ.

შემთხვევით ცირკულიარს მოკრა თვალი, ახლ ეს მივიდა და ჩაათვალიერა. მოპარა გების შესახებ რომ ამოიკითხა გადასწყვიტა, რომ კობერატის იქნებოდა და იებოს — კენ გაშურა.

— ეს რაღა ცირკულიარია! — გაჯავრებით სთქვა ებოს გამგემ, — საბჭოს თუ რამე საქმე აქვს, თითონ ვერ მეტყვის?

გაჯავრებულმა იქვე მიავლო თავმჯდომარის და მდივანის მიერ სიმწრით შედგენილი ცირკულიარი.

— ერთი პური ამიწონეთ, — შემოვიდა იებო — ში ადგილობრივ სკოლის გამგე.

— პური მასწავლებლებს ჯერ არ მიეცემა, ისე ამბობენ მათთვისაც იქნებოდა — ჯავრებით უბასუხა იებო — ს გამგემ.

— მაშ ეს რარანი იყოს.

— გაუხვიეთ ტარანი, ავე ქალაღი! — მიაძახა გამგემ და ცირკულიარზე უჩვენა. სიცივისაგან მოკუნტული სკოლის გამგე შევიდა თავის ოთახში.

აშკარა საყინულეა, გაიფიქრა და შეხვე-

ული გახსნა. უცებ თვალი ცირკულიარის იმ ადგილს მოკრა სადაც სკოლებსა და მასწავლებლებზე იყო ლაპარაკი. დაწერილუბით წაიკითხა ყველაფერი და ცრემლები გადმოსცვიინდა:

— რა კეთილი კაცია ეს ჩვენი საბჭოს თავმჯდომარე, საიდან გაახსენდა საწყალი მასწავლებლები... მაგრამ ცირკულიარი რომ გამოუცია, ვინღა უნდა აასრულოს...

დიდხანს ფიქრობდა ასე და ბოლოს ჩაეძინა. ესაზმებოდა, რომ სოფლის საბჭომ უკიდო გაატარა ხსენებული ცირკულიარი და რაიონის დახმარებით სკოლა ააყვავა. თავმჯდომარე დაჯავლდოვდა, რაიონში გადაიყვანეს, ხოლო რაილიმასკომის თავრე და მდივანი — ცენტრში მოეწყვენ.

მეორე დღეს სკოლის გამგე ადრიანათ ესტუმრა საბჭოს თავმჯდომარეს.

— ისეთი სიზმრები მაქვს შინზე და რაილიმასკომზე, რომ კომპარობა არ ავცდებათ! — შესძახა მან შორიდანვე.

— იგი არ ავცდა! — დაღონებით უბასუხა თავრემ.

— როგორ?

— როგორ და... ცენტრმა ოპორტუნისტობა დავედო ბრაღი, საყოველთაო სწავლებას არ ატარებთო. და მოგვხსნეს თანადებობიდან... მერე რისთვის? კულტურული რევოლიუციის გაულრმაველობისთვის... ი რომ მცოდნოდა, გაეაღრმავებდი კი არა, ფსკერს გაეავადებინებდი! — ამბობდა დამარბებული, უკვე ყოფილი თავმჯდომარე.

აღლაკ-აღლაკარსან.

## ლენინის გზით

ნახ. მარიაშის





საქრებულო

ლია გახათი



# სახელგამს

ძია სახელგამო! რა ახირებული ვინმე ყოფილხარ შენ! პირდაპირ გასაკვირელია შენი ამბავი! ყრუმ და მუნ ჯმაც კი გაიგო, რომ საბჭოთა ხელისუფლება წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობას აწარმოებს ამ წელში დაკვირითი წესით. ყველამ იცის, რომ ამისთვის აუცილებლათ საჭიროა სახელმძღვანელოები და რეფულები. (საწერ-კალამს და მელანს როგორმე შინაური საშუალებით დაეამზადებთ, ბატის ფრთისაგან და ანწლის წვენიდან). ამ სახელმძღვანელოების და რეფულების დამზადება და სწავლის მსურველთათვის მიწოდება, როგორც მე გავიგე, შენი, სახელგამის მოვალეობა ყოფილა. მერე რას შევები, შე კაცო, ამ მოვალეობის შესასრულებლად? საქმეს უკუღმა იწყებ? ამ დღეებში მამა ჩემმა, — ის უკვე წერა-კითხვის კარგათ მცოდნეა, — იყიდა შენი გამოცემული წიგნები, რომლებიც ვადავათვალისაგან მე და მივედი იმ დასკვნამდე შენს შესახებ, რომ დიდი არისტოკრატიული, ბარონული გემოვნების კაცი უნდა იყო და თანამედროვე მდაბიო ხალხის ინტერესები ჩირათ არ მიგაჩნდეს!

შე დალოცვილო, ვაჟა-ფშაველა, შეიძლება, კარგი მოღვაწე იყოს, მარა რა ამბავია მის მიმართ ასეთი გულუხვობა პროლეტარულ სახელმწიფოს ხარჯზე? ქალაქის ნაკლებობა არისო, ამბობენ, და ამიტომ სახელგამი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებებს სახელმძღვანელოებზე და რეფულებზეო. ვაჟა-ფშაველას წიგნში კი

მე დაეთვალე სრული სამოცდა ოთხი ცარიელი გვერდები საუკეთესო ქალაქის. ვარდა ამისა, რა საჭიროებას წარმოადგენდა ყოფილი მგონის და ეხლანდელ პროფესორის, — ალ. აბაშელის და ა. შანიძის, — ვარიანტების და ლექსიკონის ასეთი მსხვილი ასოებით ბეჭდვა, რომლებსაც წიგნის ერთი მესამედი უკავია?

მე დარწმუნებული ვარ, რომ პროლეტარული ქონების კარგი ხელმძღვრე კაცი ამ ერთ, ოთხას სამოც გვერდიან წიგნში მოათავსებდა ვაჟა-ფშაველას ყველა ვარგებულ ნაწერებს და ამით დაკმაყოფილდებოდა, რითაც ბევრ მადლიერს მოიბოვებდა..



ეს კიდევ არაფერი, როგორმე მოინელებს კაცი: ჩვენი ვაჟა, ჩვენი აბაშელი და შანიძეა, — პირველს კეთილი მგონება და მეორეებს კარგი გონორარი ესაჭიროებათ, მარა მეორე საოცარი საქმე რაღა ეშმაკმა ჩაგადენია, — იმ ეშმაკმა, რომლის არსებობას ეხლა აღარავინ სცნობს?! რამ გამოვაცემია ოთხას გვერდიანი ლ. ხავენიას წიგნი, — „ბიბლიოთეკის სახელმძღვანელო“? წერა-კითხვის უცოდინართა სახელმძღვანელო ხომ არ გეგონა? მართალია ის რუსული მეხუთე გამოცემისაგან არის თარგმნილი, მა რა რაც უზარმაზარ რუსეთს ხუთჯერ შეფერის, ის არ არის სავალდებულო საქართველოს ერთხელ შეფერდეს, — ზოგიერთ საკითხში! მინდოდა თითებზე ჩამომეთვალა ჩვენი ბიბლიოთეკები, მარა არც ერთი თითის მოღუწვა არ დამჭირდა, რადგან ჯერ არც ერთი ისეთი ბიბლიოთეკა არა გვაქვს, როგორსაც გულისხმობს ეს წიგნი. შენ კი ასე ფიქრობ, ალბად, ეს სახელმძღვანელო თუ იქნება, — ბიბლიოთეკები შეიქმნებიან! არა, ძია! შენ ჯერ სხვა სახელმძღვანელოები გამოეცი, სხვა წიგნები, გამოეცე ბლომათ, — არა ისე ძვირფასად, როგორც ვაჟა-ფშაველა, — და მაშინ შეიქმნებიან ბიბლიოთეკებიც და მკითხველებიც.

სჯობს თავი დაანებო არისტოკრატიულ ბარონობას!.. მონდობილობით: წერა-კითხვის მცოდნე.

4

## ფუთიანი სახელმძღვანელოები

ნახ. ღონის.



„სახელმძღვანელოებათ ისეთი დიდი წიგნებია გამოცემული, რომ მოწაფეებს უჭირთ მათი ტარება“.

— გავიზღები და მერე ვისწავლი; ეხლა სად შეიძლება ამათი ტარება!

— რა მჭირდა ვისწავლე წერა - კითხვა! ამოდენა წიგნებს რა წამაკითხვებს!



# ინგლისი ინლოეთში

ნსა. ი. თოდოს.

„ინოეთში ისევ გრძელდება სამოქალაქო ომობა; მადონალდის პირფერობამ ნაყოფი ვერ განმტკიცებდა“



— როგორი მოუხვენარი ხალხია! ახლცაი ხანია ვამშვიდებთ და აჲ იქნა მისი დამშვიდება!

# ინტერვიუ

## მეგობრული შარყი

ნახ. ქოქიაშვილის.

# კატაკა უქმობენი

„გეგმა უმსრულელურია“

ვინც ცრუა და ტრაბახია, მხოლოდ სიტყვით დალაქლაქობს, ამისთანებს მე ვერ ვაქებ, ვისაც უნდა, იმან აქოს.  
ს. ზურგიელიძე.

სოლომონის ეს თქმულება შეიხება ჩვენში მრავალს: ავტომობილ —

ეტლ —  
ცხენ —  
ჯორით,

თუ ქვეითად ქვეყნად მავალს! შეეხება ცნობილ ყბედიბს, განდილებით დანათეთებს; ვინაც ფლანგავს და იპარავს; შეტს არაფერს არ აკეთებს!

არა — როგორ არ აკეთებს, თავისათვის მუდამ (ოილობს, ყველაფერი სახლში მიაქვს თუ შეხვდება რამ საკბილოს გაბლიძული, წარბ შეკრული, ფახი - ფუხობს - იიდიღური, თაის ჰიიიანად მოგაჩივრებს ეს ტრაბახა, ეს ბითური!

საკითხებს „სწრაფებს გეგმიანად“ სხვებსავეთ კი არ ართულებს, სათანადო დავალებას საუცხოვოთ შეასრულებს:

ჩაასვენებს დიდ „პორთფელში“ ისე — არც კი წაიკითხავს, დი საბჭოთა მშენებლობა ამნაირად „წინ-წინ მიჰყავს“! სიტყვებს სთესავს პურის ნაცვლად,

თბილ ლოგინში ჰკრეფას ბამბას, შუადღემდე იზმორება ცოლს უამბობს ზღაპრული ამბავს. კანონს, ანდა გაფრთხილებას

ის ჩალადაც აღარ აგდებს, რა შილში და ტკბილ სიზმარში სიმინდსა და პურს ამზადებს ხედავს სიზმრად დიდრონ გორებს

სიმინდ - ბამბის, პურის, თესლის, „გეგმა უმსრულელურია“ სხვა რა ნახოს უკეთესი! ხედავს კიდევ მშრომელებსა

წერა-კითხვის მცოდნეს ყველას, განათლებას ჩირაღდანი ყველგან ბრწყინავს, ყველგან ელავს; გაიღვიძებს, გააზმორებს

და ღრმად დარწმუნებულია — წერა - კითხვა ყველამ იცის, „გეგმა უმსრულელურია“! ანაირი „მტკიცებაც“!

შრავალია ჩვენში, მგონი, მათ შეახებ — ცხოვრებული — მართალია სოლომონი! როცა ამბობს დიდის სიბრძნით

„ვინც სიტყვით დალაქლაქობს ასეთ ხალხსა მე ვერ ვაქებ, ვისაც უნდა, იმან აქოს“!  
**შალვა უსუნელი.**



ამხ. მ. ხუშნი (გან. სახ. კომ. იურისტ-კონსული).  
განსაკჳმის და ოპერის  
იციის საქმენი რაშია!  
დღით განსაკჳმში არის და  
სადამოს-ოპერაშია!

ბრიგადას გამოვგზავნი — დაწერილებით ცნობების მოსაწოდებლად, რომ წითელ დაფაზე აღინიშნოს თქვენი სოფლის საბჭოს და მის თავმჯდომარის საქმიანობა.

— გამოვგზავნეთ, გამოვგზავნეთ ამხანაგო! ყველაფერი მზად არის. მხოლოდ წერა-კითხვის უცოდინარნი არ გეყავს აღრიცხულნი, სასკოლო ბინა არა გვაქვს, გვაკლია მასწავლებელი, რვეულები, ფანქრები და სხვა სასწავლო ნივთები. სხვა მხრივ კი ყველაფერი მზად არის.

ბრიგადამ, მუშგლებინმა და გაფრთხილებამ შესაფერი ნაყოფი გამოიღო.

— როგორაა თქვენი საქმე მოქალაქე? — შევეკითხე ორ თვის შემდეგ კულაკი ნიკოლას.

— შენ მტერს ამისთანა საქმე; ნაც რიანიდან მასახლებენ ჩემი ყოფილი მოჯამაგირეები — მთლიანი კოლექტივიზაცია გაატარეს. ჩემგან ჩამორთმეულ წისქვილის ქვისთანა ლოდი დაედოს გულზე ვინც იმათ წერა-კითხვა ასწავლა!

მედუზა.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ნიანგის დავალებით გადაწვეტიტე შემომეწმებია საყოველთაო სავალდებულო სწავლების საქმე და ამ მიზნით მენახა ამ საქმით განსაკუთრებით დაინტერესებული ორგანიზაციები.

— როგორ არის საყოველთაო სავალდებულო სწავლის საქმე ამხანაგო? — შევეკითხე სახანკომელებს.

— ყველაფერი მზადა გვაქვს, ამხანაგო, ყველაფერი! მხოლოდ შესაფერი გეგმა არა გვაქვს ჯერ-ჯერობით შედგენილი და ამ საქმისათვის საჭირო ხარჯები არ გვაქვს ჯერ კიდევ ბიუჯეტში შეტანილი! — მიპასუხეს მათ.

რამოდენიმე წუთის შემდეგ სახელგამში გავჩდი.

— რაა კაცო ყველაფერზე რომ მე მომადგებით კითხე ნიკოს, იმან იცის როგორ არის საყოველთაო სწავლებისათვის სახელმძღვანელოებით მომარაგების საქმე! — მისაყვედურა ბარონმა.

— როგორ მიდის საქმე ნიკოჯან?

— ყველაფერი მზადაა ამხანაგო, ყველაფერი, მხოლოდ სახელმძღვანელოები არა გვაქვს, არც ქალაქი მოგვიმარაგებია და არც სტამბებს სცალია... — მიპასუხა ნიკომ და რაკი აღუღვება შემატყო, ისევ „დაამშვიდა“.

— ნუ ღელავთ ამხანაგო, გეუბნები, — ჩვენი მხრივ სავალდებულო სწავლისათვის რაც საჭიროა — უშვლაფერი მზადაა.

ნიკოსაგან „ნუგეშცემული“ ცეკავშირში წავედი.

— რა ზომებს ღებულობს თქვენი აპარატი საყოველთაო - სავალდებულო სწავლების დახმარების საქმეში?

— ჩვენ დიდათ თანაუგრძნობთ ამ დიად საქმეს ყოველგვარი ზომებია მიღებული მის დაკვრითი წესით ჩასატარებლად. გავწიეთ საჭირო აგიტაცია... პროპაგანდა..

— მხოლოდ კაპიკი ფული არ გაუღიათ, ისე ყოველგვარი „ზომებია“ მიღებული! — „დაგვირგვინა“ ცეკავშირის გამგეობის პასუხი შემთხვევით შემოსულმა ნიანგკორმა.

— ყველაფერი მზადა გვაქვს, ყველაფერი! — მითხრა სოფელ ნაციონის თავმჯდომარე-ქეკიანმა; — ასე, რომ ერთ-ორ თვეში ჩვენს სოფელში არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი არ იქნება!

— ჩინებულაა, საუცხოვოა, ტფილისში ჩასვლისთანავე გამომკვლევ

6



# დისკუბტი ხელოვნების სასახლესი

(კამათის გაბრძნება ამხ, იმ. ვაშაშაძის მოხსენების გარშემო)

## სიმონ ფხარავა

წვერავემ ილაპარაკა კრების წეს-რიგის დაცვაზე, ლიტერატურულ სწორ ხაზზე და კიდევ რალაცა სხვაზე.

### ალ. აბაშელი

აბაშელმა მომხსენებელს ასე უთხრა: „ძნათ ვანო! კონდრატევის ორმოდან მე უნდა ამომიყვანო.“ შესაძლო არის ტემპებით ვერ გავუხსწორდი იმ დროსო, მაგრამ მე ახალგაზრობაში ჰბამს ცოტა მომენათროსო, მე მუშების ვარ მეოსანი, მიმუშავენია თიხითო. ხომ ხედავ, პირი თქვენსკენ მაქვს, აღარ დავდივარ ჩიხითო.

### გერონტი ძიქოძე

გერონტი ქიქოძის სიტყვა იყო ფილოსოფიური, აზრი კარგად ვერ გავიგე თუმცა კი დავუგდე ყური.

### ალი არსენიშვილი

ყურადღებით მოვისმინეთ სიტყვა არსენიშვილისა, უარყო ბოდღერიანობა, მომხრე არის ახალისა. „ზარია“-შიც რეცენზიებს ათაფსებდა თურმა ისა;; სადაც ზოგზოგი მოღვაწე დაჰგმო, არ წაახალისა. უკმაყოფილო მწერლები თურმე ჰკიცხავენ ალისა.

### სიმონ ჩიქოვანი

ჩიქოვანმა მომხსენებელს პირველ მადლი მოახსენა: — „ყველაფერი სწორი იყო, რაც ინებეთ გეთქვათ თქვენა!“ მერმე მიბრუნდა მარჯვენისკენ, სხვა მწერლებს ვაეკამათა, — გამოაცხადა გერონტი პასეისტების მამათა.

### ნიკოლოზ მიწიშვილი

მიწიშვილი გაულისდა, დაიძახა: „პაი გიდი! მე პირველმა ავაფუთქე, ძველთან შემაერთი ხიდი. (რის განხრა და ქანობა, ვინ თქვა!? რა მოსატანია!? ჩემი წაგნებიც შემითხზავს და სხვისიც დამიკანია.

### გენიტო ბუაჩიძე

ბუაჩიძემ ვით სარდალმა ფართედ გადაშალა გერონტი, ახსენა ჯავეანიშვილი, მერე ახსენა გერონტი, შეეხო, — არ გამოტოვა გამსახუროდია კოწია,

თანამგზავრებშიც შეიჭრა და ხალხი მისწი-მოსწია: : სულ ყველას წყალში გადაყრით, თუ კი არ ღარდიქენითო,— მე ყირიმელმა ჩავსწერე, ასე ამბობდა ბენიტო.

### განო ჟღენტი

ჟღენტმა პირველ თანამგზავრათ აღიარა ჩიქოვანი, მეორეთ გალაქტიონი და იმათ შემდეგ კი სხვანი. სხვა კითხვებში მომხსენებლის მიჰყვა კლასიფიკაციას, აძაგა რა პასეიზმი, შეებრძოლა დისტანციას.

### კ. მელაძე

გამოვიდა იგი ვაეი, მას თავზე ეხურა ქული (მიკვირს რათ არ მოიხადა, ამინდი არ იყო ცული), გამოვიდა და დაიწყო ლაპარაკი სხაპა-სხუპით,

დამსწრეები გააკვირვა მემარჯვენეთან ჩხუბით. შანშიაშვალს მოეწონა ნორჩი ორატორის ნიჭი, ჭუმბაძეც ასე ამბობდა არისო დამცხები ბიჭი.

### სანდრო შანშიაშვილი

წამოდგა შანშიაშვილი, ქული მიატოვა სკამზე. ერთი არაკი მოგვიყვა დედაბერზე და ქათამზე. თურმე იგი დედაბერი იყო მეტის-მეტად ავი. და ამიტომ საწყალ ქათამს ქე ჩამოუხრჩვია თავი. და ბოლოს სანდრომ დაასკვნა: იმიტომ ვამბობ ამასო,— მე მ სეზონში დავიწერთ ასორმოცდაათ დრამასო. მეტი კი არ შემიძლია, ვფიცავ დედას და მამასო. გაიოზ ყირიმელი.

## გაგუა და უვილიუვილი

ნახ. ტაბატაძის.





ესი მკითხველი, ახი მსმენელი


ესი მკითხველი — ესი „მსმენელი“.



# სკოლაში და სახლში

ნახ. ტაბატაძის.

ახალმა სკოლამ უნდა გაანათავისუფლოს მოწაფეები ძველი ოჯახის ზეგავლენისაგან.



## განახლებული წარსული

— რა უყვით მერე, რომ ჩვენს სკოლებში შემოღებულია სოციალისტური აღზრდის მეთოდი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ფორმა აღმზრდელობისა არ იქნას გამოჩნდეს! — განაცხადეს **ხონის** სკოლის მასწავლებლებმა **ფილომ** და **ნადირაძე** და ექსპერიმენტების მოსახდენად შემოიღეს მოწაფეთა აღზრდის ახალი მეთოდი, რასაც საფუძვლად დაუდევს დავით გურამიშვილის „**სწავლა მოწაფეთა**“.

ნუ განადლებების სწავლაზე ყრმის წკებლის ცემით კივილი,

მალ გამთელდების უწამლოთ მისი წულუღების ტკივილი, რა მოიზარდოს მოყვინჩნლდეს, მამლურებ შექმნას კივილი, უფროხილდი, მისგან წყენიდან არაზე შექმნა ჩივილი.

შედეგები განსაკუთრებული აღმოჩნდა. ხონის მასწავლებლობა შურის თვალით უყურებს ახლად მოვლინებულ „რეფორმატორებს“, ხოლო თვით **ფილომა** და **ნადირაძე** კი გულის ფანჯკალით ელოდებიან განათლების კომისარიატიდან საჩუქარს და სათანადო „**ორამოტას**“ დეწინაურების შესახებ. **ტოპსინი.**



„ცხინკიტრესტი“ სთქვა: რა ყო-

ვილა

განსახკომს, დილა ნიანგო,  
ბევრი ჰქონია სვრელია,  
და მტრის ბუნავის მიგნება  
ყოფილა ერთობ ძნელია.

ვისაც წავაწყდი, იცოცხლეს  
ჩავსჭიდე ყელში ხელია  
და დავმტვრე უშიშრად,  
როგორც მშვიერი ძველია.

რაც იქ ამბავი გადაწყვიდა,  
აქ ყველა რა სათქმელა,  
ჯავშანის ხლართით აღმოჩნდა  
შეკრული ბრძოლის ველია,  
მაგრამ მიშველა ყუმბარამ  
(ის ხიჯათისგან მხსნელია)  
და მტრის მთავარი ბანაკი  
ნეშა მიერ განათელია.  
ტყვედ ჩაქარდნილნი მოგვგარე,  
ჩაიტკმარუნე ყელია  
კიდევ მოგიყვან ასეთესს,  
თუ რომ ეს შემოგელია.

**ალ. ნაცვლიშვილი.**

საბიუჯეტო სექტორში  
თვის გულის გასახარადა,  
აღუქსანდრე რომ ჩამჯდარა,  
(ნაცვლიშვილია გვარადა).  
მისი წარსულის შესახებ  
ბევრი რამ იყო ნათქვამი;  
მაგრამ არც გაწითლებულა  
არც შეუხრია წამწამი.  
რელიგიური კრებულის

აბობენ, რომ ამ გეგერმა  
„თეთრი“ ქული დაიხურა,



თეთრები რომ კანადგურდენ,  
ის გამოძვრა, როგორც ტურა,  
გამოსწია თბილისისკენ,  
მენშევიკება მოაშურა.  
მას რომ ჰკითხოთ, ჩვენს ბრძოლაში  
მას მიუძღვის დიდი ღვაწლი;  
ბოლშევიკებს პატივსაც სცემს  
მას სტაჟი აქვს ათასებრა წლის.  
დიდი ღვაწლი რომ მიუძღვის  
თურმე იცის მისმა ცოლმა,  
ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ სჯობია  
ეს იცოდეს განსახკომმა.

**ჩუბოვი**

ჩუბოვს, ყოფილ პოლიციელს  
ბევრი ახსოვს და უნახავს;  
თავი ძლიერ ჰყვარებია;  
და კარვადაც შეუნახავს.



გაზღდათ ააბატო წვერი  
„წმინდა ნინოს“ პატვის სცემდა  
და ხეირიც ნახა ბევრი.  
სანდროს, როგორც ბიუროკრატს  
არ ჰყავს თექი, არ ჰყავს ტოლი.  
მას კიოვიტთ ვჯავგრება  
ბრიგადა და „კომპომოლი“.  
არ სურს მუშის წინ წაწევა,  
ვერ ინელებს ახალ კადრებს;  
აწ ნიანგო, შენ იცოდე  
ასეთ მვენება რასაც ჰკადრებ.

**ბეჰერი.**

ვინმე „ბეჰეა“ არ გვეგონოთ  
ეს გეგერი, აქ რომ ხედავთ;  
კაბორეტში მასთან შესვლას  
„უდაკლადოთ“ ვერ გაზედავთ.  
იგი არვის შეადაროთ,  
არც ინსტრუქტორს, არც ინსპექტორს,  
განაგებდა განსახკომში  
სწავლა-მეთოდის სექტორს.  
როს მოსკოვში, ლენინგრადში  
გავარდარდა ბრძოლის ქურა,—



ამ შავსფლს, აშკარა მტრის  
დღემდის თურმე არცნ ძახავს.  
როგორც ხედავთ განსახკომში  
მას ხუნავი მოუნახავს;  
იმედი მაქვს, რომ ნიანგი  
ჩუბოვს ადგილს მოუნახავს.

ეს რალაცა „ესეობუჩი“?  
კარს მომადგა ფულის თხოვნით  
და ვაი, თუ ვერ ვადვურჩი...!

ითხოვს თითქმის ცხრა მეთოდს  
მთელი ამ წლის მო... ების  
— „აზრალა მაქვს სწავლისათვის  
სკოლის თავის დროს აგების;

მოგვარება მისი კარგათ  
და მოწყობა იმის, ამის,  
სამოსწავლო მაგიდების  
თუ სხვა რამე სკოლის ღვაძის,

რომ კვლავ თავი მოუყარო  
შიგ ბავშვების მთლიან მასიებს...  
ვენაცვალე, წიგნს და რეკულს,  
და ბაგუებით საესე კლასებს!

ის ჩვენ რიდეს ჩამოგვაცლის,  
უფიცობის შავ - ბნელ ფლასებს...  
ეჰ, ამ ჩემს ღვაწლს ისტორიულს  
მერმისი თუ შეაფასებს!

ერთი სიტყვითი, ფული მომე,  
შენ, რომ გეკია „ცხინკიტრესტი“,  
სრულად მომიე ის თანხა, რაც  
ვიწერია განაწესში!“

— განაწესით მართლაც მიწევს  
„ესეობუჩი“ ფული გავსცე,  
მაგრამ ფებს კი ვითრევე, ვფიქრობ:  
ამ ბეგარას იქნებ ვასცდე!..

ასე მსჯელობს „ცხინკიტრესტი“  
და ვადახდას აგვიანებს,  
არ იცის, რომ ის „ესეობუჩის“  
ამგვარ ქცევით აზიანებს!  
ის აფერხებს სწავლის საქმეს  
და ხელს უშლის აღზრდას კადრის.  
ის სინათლის გემოს არ სჯობს,  
მან არ იცის ცოდნის ყადრიც,

რადგან, როცა მის საწარმოს  
უნდა მუშა, გამოცდილი,  
ამა თუ იმ ორგანოს წინ  
სელი კი აქვს გამოწვედილი

და იძახის: „მომე მუშა,  
მუშა, კვალიფიციური“!..  
თითქოს მუშა ამისთანა  
უცხო იყვეს რამ, ციური;

თითქოს თვისით მზადდებოდეს  
გამოცდილი მუშა - ნელი...  
ასეთია „ცხინკიტრესტი“,  
„ესეობუჩის“ დამზრახელი!..

ასეთია მისი აზრი  
ფულეზინა ზოგვის ხერხი,  
მაგრამ სწავლის, კადრის საქმის  
არის ამით შემაფერხი!

და ვერც ფულის მარაქაში  
ჩაგარდება რრესტი, მსგავსი:  
მოგების და წინესლის წილ, მას  
უფიცობის შესქამს ხაესი!.

წაზირა.



ერთ ფრანგ მწერალს მოთხოვნა აქვს, რომ ერთი მასწავლებელი სახლში დაბრუნდა მეგობრის თანხლებით. ბინაზე დახვდა ქორდები, რომლებიც სახლში უშიშრად ბატონ-პატრონობდნენ.

— დაეჭვიროთ, ანდა პოლიციას დაეუძახოთ! ურჩია მეგობარმა.  
— არა, რა საჭიროა! რამდენად ნაკლებ შეუშნოთ ხელს, მით უკეთესია, მალე მორჩებიან სექსებს და წავლენ! — დაამზვიდა მეგობარი მას წავლებელმა.

ასეთივე ამბები ხდება ზოგიერთ ჩვენს სასწავლებლებში, სადაც ჯერ კიდევ ბლომად სხედან ღმერთის ჩუმი ოწმუნებულები და აგენტები. ინსტიტუტებში, სადაც სტუდენტებს ასწავლიან სხვადასხვა მეცნიერებას (და ისიც „მარქსისტულად“), ზოგი პროფესორი ცალი ხელით პირჯვარს იწერს, ხოლო მეორეთი - პლანეტათა მოძრაობის, ქიმიისა და უმაღლეს მათემატიკის ფორმულებს ამ-

ლო ლექციების შემდეგ ეკლესიაში ხუცის ღალადს ისმენს ღმერთის მიერ ექვს დღეში ქვეყნის შექმნის შესახებ.  
— პროფესორები დადიან ეკლესი-

ლები, რადგან „არ გათეთრდება ყორანი რაც უნდა ხეზო ქვიშითა“.  
მართლაც, მათ ერთ სიტყვასაც ვერ წამოაცდევინებთ ღმერთზე.  
— მასწავლებლო, თუ ღმერთი არსებობს... — დაიწყებს მოწაფე შეკითხვის მიცემას, რომ „ღმერთის ჩუმი ოწმუნებული აგენტი“ გააჩუბებს:  
— სსს! ეს არ არის თქვენი საქმე. ჩვენს დროში ღმერთზე ლაპარაკი, როგორ შეიძლება?!  
— ხომ გაგიონია, ღმერთი არ არისო. მაშ თუ არ არის, საჭიროა მასზე ლაპარაკი:  
— ყმაწვილებო, არ ღირს ასეთ უმნიშვნელო საკითხზე დროს დაკარგვა!



— არ გაზედო ხელის ხლება; ხომ არა ხარ შენ მასხარა? ეს არ არის შენი საქმე, ნუ აწუხებ წარა - მარა.

— როგორ, შენ ღმერთი კიდევ გახსოვს? — აი, ასეთი პასუხით „აკმაყოფილებენ“ ზოგიერთი მასწავლებლები მოსწავლეებს, როცა ეს უკანასკნელი შეკითხვებს აძლევენ რელიგიურ საკითხებზე



— დაანებე თავი ჩემს ღმერთს, მას რაც უყვებს, ისიც კმარა. არ ვეხებით ღმერთს სკოლაში, არა, ბიჭო, არა... არა!..

აში, მათ ყველაფერი იციან, მათ სწამთ ღმერთი და თქვენ ღმერთი გაგიწყრათ, რომ დაივიწყეთ ღმერთი და ესკოლესია? — უსაყვედურებს მღვდელი ურწმუნო მშრომელს.  
ბევრმა მღვდელმა წვერ - უღვაში შემოიკრიჭა და სკოლის კარებზე დააკაკუნა:

— მოვედი წმინდა ბასილი თქვენთვის ცონდ-თა აღვხილი! ცონდა კი (სახარების გამოკლე-აით) გლახა მონადირისაგან ოთხ ფეხში დაჭრილ კურდღილს აეკიდებდა ზურგზე.

— ჩვენთვის ესეც კარგია, რომ გაიკრიჭა!

— რა უყოთ, რომ არ მივილოთ. არსებობდა ხომ უნდათ!

— ღმერთზე კრინტსაც ვერ დაძრავენ სკოლაში. — ამბობდნენ (და ზოგან ახლაც ამბობენ) განათლების მესვეურნი, როცა მათ უსაყვედურებენ: — ნუ შემოგებარებათ ყოფილი მღვდლები და მორწმუნე მასწავლებ-



— შენ სულელო, რახა შვრების ხელი უშვი ჩემს ღმერთს ჩქარა, — თორემ მუშტი მაგ სახეში სადაც არის ჩაგეფარა.

დრო კია — ღმერთის ჩუმი ოწმუნებულები, სრულ უფლებიანი წარმომადგენლები და აგენტები დაიფერთებოდნენ ჩვენს სასწავლებლებიდან.

# შაკვი რაფა

## დალია ზვიდი კვარტია, მოღოს ვით გონაპარტია.

„სოფ. ეკის მცხოვრები ი. მერნატივიჩი სწირად ითვრება, ხულიგნობს და აწყობს დებოშებს“.

მხედველი.



აი თაობის „აღმზრდელი“ „ნამდელი“ პედაგოგია.— ღვინო და ქეიფისათვის თავი არ დაუშვია,— მოღის და ქუჩებს ზღვირს აღენს, ნუ გეგონებათ ჭორია,— თუმცა ამგვარ რაინდობისთვის ისიც ბევრს გაუფორია.

## ჩუმა მითხარით შურშია რას ღარღობს თუთიყუშია?


„მასწავლებელი კიკაბიძე ჰგოდებს: ამ ქვეყანაზე ყოველგვარი იმედი დავკარგე, კარგს არაფერს მოგელო და თუნდ ცეი-ლონში გამგზავრონ“ გაზეთებიდან.



ეს რა სირი მოფრენილა მით კუნძულით ცვილონით,— ახალ ქვეყნის მშენებლობას რომ ვერ ხედავს ხედვით, გონით, ჰგოდებს ვითა თუთიყუში გულში სევდა განაწონს,— ალბად დროზე ვერ მიართვებს

## გაუჭუჭყია პლანეტა, ნად გადასწყვიტა სვლა ნება?

„ს. ხორხის სკოლის მასწავლებელი ნა-ნეიშვილი გაურბის საზოგადოებრივ მუ-შაობას, ცხვირის აწვეით აცხადებს, რომ სა-ბჭოთა ქვეყანა მისთვის წარმოადგენს ქუ-ტყიან პლანეტას“.




ახალი მთვარე გოშიას ქონის ნაჭერი ეგონა—

სცადა შეხტომით მოწყვეტა, რომ კუჭი ამოქონა— ვერ შესწვდა, ყუფა დაუწყო, დორბლებს აყრიდა ცაზედა, მაგრამ მის დორბლი, და ჭუჭუი თვით ესხმებოდა თავზედა. იცნოს ის ნანეიშვილმა მას რაღა უნდა სხვა ნება,— თავის ბოღმიან დორბლებით მანაც „გაჭუჭუა პლანეტა“.

## სოფლად ხშირად ასეც ხდება, რომ ულუფა კულაკს სვდება.

„სოფლის ზოგიერთი მუშაკები ანგარიშს არ უწევენ პარტიის და ხელისუფლების დირექტივებს—სოფლის მასწავლებელთა მო-პარაგების შესახებ“.



დირექტივა? დავალება? „საქმეშია“ ჩანაკრავი,— ბევრ ნოქარს და წერტის გამგებს— თავს ქარი აქვს განაკრავი მასწავლებელს „პრანწს“ უჩვენებს — ჩარჩს და კულაკს ამარაგებს— და ამაზე,—თქვენ არ გიკვირთ პასუხს არვინ რომ არ აგებს?

## სტურუა აღმქანდარი, სკოლაც კი არ იკადრეო?

„პარტიის წევრი, ქუთ. მუშკოპის თან-მშრომელი ალ. სტურუა სკოლაში განზრახ არ უშვებს თავის ბავშვებს, „არ აკადრებს“ მათ დღევანდელ სასწავლებელში აღზრდას და თავის საქციელს ამართლებს ოპორტუ-ნისტული „მიზეზების“ დასახელებით“.

ორი დამკვრელი.



თავი დამურად ქვეული გაუკიცხიათ ფრინველებს,— მაგრამ ამნაირ თავგობას— ზოგ ჩვენს დროშიც „ინელებს“ და თუ სტურუს ბავშვებიც— უსწავლებლობი რჩებიან,— მათ მამას ალბად მზადა აქვს მათთვის დამურის ფრთებიან.

## კედაგოგო ვიოლია, ბავშვის ცემა იოლია?

„ხონის ათწილდის მასწავლებელი ფიო-ლია უნდარმულად ეპურობა ბავშვებს. მან ცემით დაასახინრა ერთი მოწაფე“.

ა. ნ.




იცნობდეთ ხონელ პედაგოგს, ფიოლია გვართა,— კულდს აქიციებს „უფროსთან“— თავს მოჩვენებს ცხვართა მაგრამ მგელია ბავშვთათვის და მათი ყელის მლადრავი— მოწაფე აღარ გადურჩა დაუჩენს-დაუფატრავს. ჩაჯ რდეს ნიანვის კბილში მხოლოდ ამის ვარ მნატრავი.

## ნადაც სოფელი სცისია, იმ სკოლა ნება ვისია?

„სოფ. სცისის საბჭომ მიუხედავად რაი-განყოფილებებს არაერთი წინადადებისა, სკოლის შენობა დააბანდა საწყობად და მო-წაფეები ცისქემე დასტოვა“.

სტალინისელო.



ავერუში საბჭომ „სცისური“ მეთოდი დაამყარა, სკოლაში თივა დაწყეო, ბავშვი კი გამოყარაო. სხვა ვინ იქს ასეთ სირეგვენს: დაჯერებაც კი ძნელია,— ამ „საქმე საქმის“ მოწყობი თავლაში დასახმელია.

# შეთავსების საკითხი

## გიგლიოზგრაფიის მაგიერ

— ძნელი არის ყოველგვარი გონივრული სახელმძღვანელო წიგნის წერა, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია სახელმძღვანელო წიგნებზე რაიმე გონივრულის წერა. და ეს იმიტომ კი არაა, რომ გონივრული აზრის წერა სურათოდ ძნელი იყოს, არამედ იმიტომ, რომ..

— რომ კი არაა, რომის პაპა... შენ აი, აიღე ერთ-ერთი სახელმძღვანელო, რომელიც ხელში მოგხვდეს და გადაფურცლე... იი, თუნდაც „ჩვენი შარავ“, მასწავლებელთა გავლენის გამოცემა, 1926 წლისა, სახელგამისა და სხვ. აიღე და ამოსწერე პირდაპირ პირველივე გვერდიდან.

კალაზე, ბატონო მასწავლებლო.

„ხვალ უკანასკნელი გაკვეთილია... გლეხმა გათიბა ცხრა ურემი თივა... ცხრა ურემი თივა... გაყიდა ერთი მესამედი... ში, ზვალაც, და შორჩა... გაყიდა ერთი მესამედი... მასწავლებელმა გვითხრა, ხვალ უკანასკნელი გაკვეთილია... გაყიდა ერთი მესამედი... რამდენი ურემითივა... ოჰ ნეტა ახლა თივაში კი გადამაგორა და“..

ამას ნატრობს გულში გიგო. ალბათ, მატყლის ლეიბზე წევს ან პირდაპირ მატყლის გროვაში, რომ თივაში გადაგორებას ნატრობს, რადგან ყველაფერიდან სჩანს, რომ გიგო უზომოდ სიტყვითა, ბურჯანში და ბორბავს...

— მხოლოდ, თუ სიტყვითა, როგორ და ახერხებს ნატურას? იკითხავთ თქვენ.

ეს ალბათ, შეთავსების კანონით ხდება.

ასეთივე შეთავსების კანონის ძალით თუ ხდება ის, რომ მეორე სახელმძღვანელოს „ბუნება და შრომა“ გამოცემა იმავე სახელგამისა, მხოლოდ 1927 წლისა, მე-24-ე გვერდზე დასტამბულ ლექსში: „შემოდგომა“ — სიტყვა სიტყვით სწერია:

„წყალმა უმატა შვილის,

წყარომ მოსპო ჩქრიალი“..

მაგრამ აქ დიალექტიკოსთანაც გვაქვს საქმე: უმატა—მოსპო. ეს დიალექტიკა სულ ადვილად აიხსნება თანამედროვე, ტემპებთან შედარებითაც, თუ გვინდავთ, მაგალითად: მოლარემ რომ სალაროდან ფულის ჯიბეში ჩადებას უმატოს, ცხადია, სალაროში ფული მაღე მოისპობა. ერთი სიტყვით: ულოლიკობა რაიმე არავის ეგონოს ამონაწერში. ყველაფერი რიგზეა. მხოლოდ ერთის პირობით: თუ პატივცემულ სახელმძღვანელოს პატივცემულ ავტორებს, ჩვენთან ერთად, ჰგონიათ, რომ წყალი და წყარო მოცემულ კონტექსტში თითქმის ერთი და იგივეა და თუ აქაც ორი სხვადასხვა სახის შეთავსებასთან არაა გვაქვს საქმე.

მაგრამ შეთავსება სხვა სახითაც ყოფილა შესაძლებელი. არა გვერათ? აიღეთ სახელმძღვანელო: „ბუნება და სოფლის მეურნეობა“. გადაფურცლეთ მე-17-ე გვერდი და ნახეთ:

„დაწერებული ცუდი წვიმიანი ამინდის ნიშანია: 1. ბარომეტრის ერთ (დაბალ) დონეზე გაჩერება, ან მისი მცირე ცვალებადობა; 2. სუსტი ქარი, რომელიც მიმართულუბას არ იცვლის; 3. ცუს სრულიად შეკვრა ღრუბლებით და სხ.“.

ესე იგი, გარეთ თუნდაც წვიმდეს, თუ გვინდავთ კოკისპირულადაც წვიმდეს, თუ თქვენ ბარომეტრი არ გავაჩნიათ და ის დაბალ დონეზე არ გაქვთ გაჩერებული, ცხადია, არხინად შეგვიძლიათ სახლში ჯდომა. გინდა ენოში გარბენა, რადგან გარეთ ამ დროს ჩინებული დარია.

აქ ცოტა ქარის საკითხი სდგას იკლიკანტურად. ქარი, რომ თქმა უნდა, ქარს გააჩნია. თუ ეს ქარი რომელიმე სახელმძღვანელოს ავტორის თავშია და მან მიმართულება მართლაც არ შეიცვალა, ცხადია, რომ გარეთ კარგი დარი არასოდეს არ დადგება ან კიდევ ცუდი ამინდი არასოდეს არ შეიცვლება.

# უსტარი სახელგამისადმი

სახელგამო, სახელგამო, არვინ გვივის შენგან კიდე, ურვეულო—უფანქრობა, უწიგნობა განგვარიდე, სახელმძღვანელო კრებულებსა თავის დროზე დაბეჭდიდე, აპკინძვიდე, დაპკაზმავდე, რა მოგთხოვთ მოგვაწვიდე, გალანამცა სწავლებაში ხელსა არლა შეგვიშლიდე, თვარე რას გავს ქცევა შენი — უგემობის გადაშვიდე?

ჰხამს ღვაწვაი მწიგნობრული, ტემპოვანი, არა სუსტი, გეგმა შორით განასჭირიტი, ციფრი-ციფრზე მონაზუსტი,— რომე საქმე გამოცემის გახდეს მყარი, ფუძე,კუშტი, და არ დაშრეს მასალანი სამარავოდ — ვითა ბუშტი,

საყოველთაო სწავლება მართ მიწყევ საჭებარია,— მის გასავრცობათ მიემართეთ — ზომები მრავალგვარია, სკოლებით დაცავსელებით ოდითვე მთა და ბარია, სწავლა დავიწყეთ მართლოდენ წიგნები საძებარია,— თუმცა გამოეც, დაგზანა — გვითხრეს — ვერ მოგიგვარია!

რა ესმოდით ყრმათა წვრთნაი, ყველამ თავი მოიყარონ, ერთა ძეთაც — უმციურესთა — თვის გეგმები ჩავაბარონ, მოგთხოვიან სწავლის ნივთთა, დაჩქარება დაგებარონ, მით სპათ შენთა მომლოდინეთა თხოვნის ზღვანი შეცაგყარონ, გვარქვით რა ჰქენთ პირობაი ლომო ნიკოლლ, ვეფხო ბარონ?

მათ ლაშქართა მთხოვნთა შორის ოესეთიცა გამობრწყინდა. ეროვნულთა წიგნთა კონა დაგიკეთა, დაიწინდა,— ნიკოლოზან (მიწოვანან) ეს დაკვეთა არ იწყინდა: გამოცემის დაგზანას მიაფრინდა — მოათრინდა, შემდეგ ბარონ, დია გკადრა, „სადაკლადით“ არ შეშინდა: გრქვა თუ: — „ლომო, ამ „ქნიშკების“ გამოცემა ხომ არ გინდა?”

ბარონ წამოგექქ წარბურქმით,გამწყყალი, განრისხებული, ხელთ სველი შეგჩა კალამი — გიშრის ტმას ამოვლებული, სთქვენ: — ეპა ყმაო, რას ჩმახავ, რომელ ქვეყნით ხარ ვლებული? რაცნა გქნათ, აბა რა უყოთ უნდა გამოცევით კრებული.

ამას „რაცნას“ მოლოდინში მართ სასწავლო განხდა უამ წიგნთა გთხოვენ ყველაკაი, ძვირად უღირსთ ყოველი წამი, ვის ათასი მისჭირვოდა, მიაწოდე ორი-სამი,— ბოლოს მაინც მოცავანახეს მოცავთხოვეს ღვაწლთა ჯამი,— რა სცნა იტყვის: სწავლის ფრონტზე დია კოჭლობს, სახელგამი“!

სახელგამო, სახელგამო, არვინ გვივის შენგან კიდე, ტემპნი სწყვეტენ საკითხებსა, ძილსა ნულარ გადავიდე, ურვეულო — უფანქრობას, უწიგნობას განგვარიდე, სახელმძღვანელო კრებულებსა, სხვა ერთაცა დაბეჭდიდე, აპკინძვიდე, დაპკაზმავდე, რა მი გვკუროდის მოგვაწვიდე, გალანამცა სწავლებაში, ხელსა არლა შეგვიშლიდეს!.. **შარსადან.**

ღევ ცუდი ამინდი არასოდეს არ შეიცვლება. აი, როგორ ხდება „ბუნებასა და სოფლის მეურნეობაში“ დარავდრის შეთავსება! აი, ნიმუში ბრანული აზრებისა სახელმძღვანელოში ავტორთა თავში და ქარის შეთავსებისა!

მაგრამ ამითი საკითხი სახელმძღვანელოებში სხვადასხვა შეთავსებათა შესახებ, ცხადია, არ ამოიწურება.

ჩემდა საუბედუროდ, გადავშალე სახელმძღვანელო „ჩვენი კავშირი“—ც. მე-2-ე გვერდზე შავით თერზე სწერია:

„მიყვარს ნაკადული პატარა, ანკარა, ლულუნ-ჩუხჩუხით მომავალი თავის ვიწრო ათასგვარად აყვავებულ საწოლში“. (ხაზი ჩემია. ენუქა).

აი, ნიმუში სიბრძნისა, რომლის ძალით შესაძლებელი ყოფილა სვლისა და საწოლ:

ში გდების ერთმანეთთან შეთავსებაც. ერთხელ მეც ვსცადე ამ ორი მდგომარეობის შეთავსება, მაგრამ შედეგათ მივიღე ის, რომ საწოლიდან ძირს, იატაკზე ბრავგანი მოვიღე.

კარგი იქნებოდა პატივცემულ ავტორებსაც მოეხდინათ ასეთი ცდა, იქნება მაშის მაინც გამორკვეულიყვენ ჩვენდა საბედნიეროთ.

თუმცა მე გამოტებით უნდა მოგასწავლოთ, მათი ასეთი გამორკვევის იმედი არა მაქვს, რადგან, ალბათ, მათი საწოლი სულ სხვა ნაირად არის მოწყობილი: ჩაკრული იქნებოდა მაგრად შივ და თან ერთი-მეორეს მაგრად გულში ჩაკონილებიცი, რა არის. ხელიდან არ წავგივდიდეს ერთმანეთი და „ჩვენი კავშირი“—ც სამუდამოდ არ დაიფრასო.

ნეტარი განსვენება მათ, რომ ჩემთვის არ დაერღვიათ ავტო ცოტათედენი მშვილობანი განწყობილება!.. ენუქა.



# საზოგადოებრივი

„დაპირფარებული“

**სოციალიზმი** (ამბროლაურის რაიონი). დღეს სრულდება 25 წელიწადი მას შემდეგ, რაც დაიწყო ორსართულიანი შენობის აგება ადგილობრივ სკოლისათვის. შესდგა საიუბილეო კომისიის სსდობა ადგილობრივ კულტურულ ძალების აქტივისთან, რომელმაც ჩაატარა წინააღრის მოსამზადებელი მუშაობა 50 წლის თავის შესახებ. გამოიტანეს გადაწყვეტილება—50 წლისთავს შესრულდებამდე ადგილობრივი 7 წლიანი დატოვილი იქნას გაბრილტებულ ქონში.

## მომარაგება

**მონტაჟი** (აბაშის რაიონი) ღარიბთა ფონდის გამაწარმებელმა კომისიამ დიდ შედეგებს მიაღწია ღარიბ მოწოდებისათვის სასწავლო ნივთების მიწოდების საქმეში. სამოსწავლო წლის დაწყებიდან დღემდე ღარიბ მოწოდებებს შორის დარიგებულ იქნა 4 ... რვეული.

## შეფარდება

**მათხროვი** (ქუთაისის რაიონი) 450 მოწადე დღეს-დღეობით თავსდება 70 მავიდაზე. არის იმედეები, რომ ახლო მომავალში მოწოდების რიცხვი ორჯერ გაიზარდება, ხოლო მავიდების რიცხვი ამდენჯერვე იქნება შემცირებული.

## „მეც წავსდები—უნდა წავხადდე“

**მარტვილი**. გლეხობი და „ეპო“ ერთმანეთს შეეჯიბრენ; სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა. გლეხობს 30 დუთი პადოში აქვს, მაგრამ მისი ფენსაცმელების სახელოსნო უქმად სდგას საპირფარეო უჭონლობის გამო. საპირფარეო ბლომად აქვს „ეპო“-ს, მასაც აქვს ფეხსაცმელების სახელოსნო, მაგრამ უქმად აქვს გაჩერებული უპადოშობის გამო, გლეხობი პადოში არ უთმობს „ეპო“-ს. „ეპო“—საპირფარეო არ აძლევს გლეხობს. შეჯიბრებამ გამოიღო ის ნაყოფი, რომ ბავშვები ფენსიშველი დადიან აკოლაში.

## „სულტმუშაობა“

**შუბა-მშინი** (ქუთ. რაიონი) ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარე მასწავლებლებს უკრძალავს გაზეთების კითხვას, რადგან მისი აზრით გაზეთის შროლოდ მანებლობა მოაქვს საქმისათვის.

## გვერდითი გავლა

**მარტვილი**. ადგილობრივ აგრონომიულ ტენიკომს ცოტა რამ აკლია: არ აქვს არც ერთი მტკავილი მიწა მეთურნობის მოსაწყობად. ასეთ მდგომარეობით ერთობ კმაყოფილია ტენიკომის გამგე.

დარჩენილი  
**მასალები**  
დაიბეჭდება  
შეგდებ ნომერში

# ნიანგის სამუშაო გეგმა

## ნიანგი ნიანგს ნიანგი

როდის მუშაობს ზოგიერთ დაწესებულებებსავეთ უგეგმით და უყარათოდ!

აქვს თავისი საკუთარი წლიური საუშაო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია მის მიერ.

არც იმ დაწესებულებასა ჰგავს, რომელმაც შეადგინა გეგმა, რაზედაც დაიცალა სამი ფუთი მელანი და ათი ცარიელი თავი. ძუენდავად ამისა საწყალ გეგმას მიიწვარ ილირსა ცხოვრებაში გატარება.

და მიაგდეს იგი სადღაც როგორც ჩვარი უვარგისი.

ისე გავა წელიწადი, — არავის აქვს სსოვნა მისი.

## ნიანგი

ასე როდი იქცევა! — შემუშავებული გეგმა გადაჭარბებით უნდა შესრულდეს! —

აი მისი მოწოდება თანამშრომლების მიმართ.

## ნიანგი ნიანგი

შეკმის ნამდვილ სატიოულ-იუმოოსტულ ფურხალს, რომელსაც მისი სახელი ჰქვია „ნიანგი“ კმის ახალგაზრდა ძალების კადრს: მშარლმების და მხატვრების, ამიტომე

რედაქციისთან დასარსებულმა ხამასადინო წრემში:

**იხ.** განცხადებები ამის შესახებ დღევანდელ ნომერში

ლიტერატურული და მხატვრული

ახალ ყოფა და ცხოვრებას შეეყვით მხოლოდ ახალ ძალით პატრესა ვსცემთ და მოვიხმობთ — შევლაც, ჩვენსკენ ვინც დაესძარით.

ვიცი, გეგვა და გეგვამ ყველას ჩვენი არის მოძავალი. ჩვეუ ამისთვის ვეზადებთ, კარგათ ვიცი ჩვენი ვალი.

## ნიანგი

ყოველთვიურად გამოუშვებს სპეციალურ ნომერებს მიდინარე საკითხებსა და კამპანიებზე.

ჩვენი ქვეყნის ორგულებსა და მტრებს, როგორც შინაურს ისე გარეშეს, არ დაინდობს

## ნიანგი

მტერი და ორგული კი ჯერჯერობით გვერია:

ყოველი ჯურის ოპორტუნისტი,

ბიუროკრატი და მანენ სპეცი.

კუდაკი, მღვდელი, ქურდი, მფლანგველი

და კაპიტალის მრავალი მნეცი.

100 მასალა მოთავსდება (დაახლოებით) „ნიანგი“-ს ყოველ ნომერში

ნიანგი ებრძვის უსაქმო მივლენებსა და ზედმეტ ხაოჯებს, მ ა გ რ ა მ

ნიანგი ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეს თვეში სამჯერ შემოვივლის!

ნიანგი დიდ ყოვადღებას აქცევს ახალგაზრდა ძალებს, რომლებსაც ვინჩევთ იუმოოს ნიკი და უნარი.

ნიანგი ბრძანებს: ყოველ ოჯახში უნდა იყოს „ნიანგი“

ხელისმომწარა მიიღება ფოსტა-ტელეგრ. ყველა განყოფილებაში

# მასწავლებლის ბლოკ-ნოტიდან

ზოგიერთი მასწავლებელი ორმოც ადგილას მუშაობს და დეკლამაციით  
ათჯიბს თანამშრომელთა აქტიურობას.

ნახ. დონის.

სა პიქა გეგმვაში

1. კ. კუბიკაძე ბარ. 5-61.
2. ხ. კ. კუბიკაძე . 6-71.
3. ა. კ. კუბიკაძე . 8-101.
4. თ. კ. კუბიკაძე რა. 8-91.
5. ზ. კ. კუბიკაძე . 9-101.
6. გ. 1653 შ. სკოლა . 10-121.
7. გ. 1654 შ. სკოლა . 12-31.
8. გ. 899 შ. სკოლა . 3-41.
9. ქ. კუბიკაძე 4-51.
10. კახიანი ხაიკო - ქაიკა  
3 კუბიკაძე .



სა პიქა გეგმვაში

1. ხ. კ. კუბიკაძე
2. ს. კუბიკაძე
3. ა. კ. კუბიკაძე .
4. გ. 855 შ. სკოლა
5. გ. 700 შ. სკოლა
6. ს. კუბიკაძე
7. გ. 1828 შ. სკოლა
8. ს. კ. კუბიკაძე
9. ს. კ. კუბიკაძე
10. ს. კ. კუბიკაძე
11. გ. 1000 შ. სკოლა

ჩ. კ. კუბიკაძე



## გოღოღი

## სწავლა

ხარხარას (თქვენ არ იყრებით სოფლის სახელს). სწორედ თქვენი თემის აღმასკომის თავმჯდომარეზე ყოფილა თქმული— „გლახა მუშა უქმის ძალზე გახედდება“—ო. როს დაიწყო არჩევნები, დაფაცურდა თავმჯდომარე. ერთი წუთით ის არ არის უქმად მდგომი, ან მჯდომარე.

— გვიანია, გვიანია-თქო!—უთხარით ჩვენს მაგიერ. ნიანგის ნათესავს (ქიათურა).—რა ჩააცვდით ბერსა და მონაზონს! ყოველთვის მათზე ხომ არ ვწერთ! ასეთ გრძელ წერილებს ნიანგე არა თუ ბეჭდავს, ბოლომდეც არ კითხულობს.

ლაზს (ბათომი).—გვწერთ, რომ მუშუაჯში სახელმწიფო ხარჯზე სწავლობს მღვდელის შვილი მ. ვანიძე, რომელიც კვებით ამბობს:

შემეწია მამის ღაცვა და ღვთისადმი დადასის სტებენდია დამინიშნეს ცხადი არის, აღბად, სხვისი. ნიანგმა ამ საქმის ძიება და ნაკლის გამო-

სწორება მიანდო ადგილობრივ განათლებას განყოფილებას.

ნიანგელს.—რატომ არ იყრებით რომელი და სადაური შაქრობა?

წიწმაცხ (დუშეთი) მივიღეთ თქვენი შეკითხვა, რომ „აღმასკომის მდივანის ღვთის სახლი იყიდა, ხოლო სახლის დირექტორება 8.500 მანეთი გადაიხდა თვითონ ბაშარულმა. გვიანსუხეთ—ვის მკუთვნის სახლი—ღვდასა თუ შვილს“.

ამ საკითხზე, მუშგლებინს უფრო სწორა პასუხისგაცემა შეუძლია.

ტიკტიკას.—თუ დაგესიზმრათ, რომ „თითქოს ჩემი ღვთის დაბეჭდილიყო „ნიანგში“, ქვეყანა კითხულობდა და იცინოდა“—ო,—(აღბად თქვენს ღვთის თუ დასცინოდენ), სიზმარი პირიქით ხდება ცხადში.

„წავილა“-ს (ხულოში და არა ჩიხატაურში ჩვენს თანამშრომელს).—შე კაი კაცო, ამ ამბების სისწორე როგორ უნდა დაგიჯეროთ, როცა „თვალსა და თვალს შუა“ მტაცებლობას სჩადისართ—ფსევდონიანს ართმევთ ჩვენს ჩიხატაურელ თანამშრომელს „წავილა“-ს.

ნახ. მარიამის



2 თეგერვალს საღამოს 6 ს. რედაქციის ბინაზე  
— შესდგება —  
ლიტერატურის წრის შეტადინეობა  
3 თეგერვალს, საღამოს 6 საათზე  
ახალგაზრდა მხატვართა შეხადინეობა

დაბითი წესით

